


იუბილე JUBILEE

დონალდ რეიფილდი – 80

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჟურნალ „კადმოსის“ რედაქცია საიუბილეო თარიღს ულოცავს „კადმოსის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ცნობილ მეცნიერს, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევარსა და მთარგმნელს, ბატონ დონალდ რეიფილდს.

დონალდ რეიფილდი 80 წლისაა



საქართველოს ძალზე გაუმართლა, რომ მსოფლიოში მისი ლიტერატურისა და ენის დესპანად ბედმა დონალდ რეიფილდი არგუნა. „ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა განუზომლად დიდია ამ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობასთან შედარებით“, – წერს რეიფილდი შესავალში თავისი მონოგრაფიისა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ინგლისურ ენაზე დაწერილი ქართული ლიტერატურის ყველაზე ამომწურავი გამოკვლევაა. „ძალზე დიდი ხნის განმავლობაში

ამიერკავკასიაში მცხოვრები ქართველი ხალხის პოეზია და პროზა ის წალკოტი იყო, რომლის სრულფასოვნად გაცნობაც სულ რამდენიმე უცხოელს თუ მოეხერხებინა. დონალდ რეიფილდი სწორედ ის მეცნიერია, ვისაც დიახაც რომ ხელეწიფება, ინგლისურენოვან ფართო მკითხველ საზოგადოებას ქართული ლიტერატურა გააცნოს“, – აღნიშნავდა კევინ ტუიტი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მიმოხილვისას.

ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ დონალდ რეიფილდი 50 წლის

წინ და-ძმა უორდროპების სტიპენდიით ჩამოვიდა საქართველოში და ქალბატონი შუქია აფრიდონიძის ხელმძღვანელობით შეუდგა ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას. ქართული ენის შესწავლასთან ერთად, დ. რეიფილდმა დაიწყო ქართული ლიტერატურის ინგლისურად თარგმნა – გალაკტიონის ლექსები, ვაჟას სამი პოემა, ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“. შემდეგ იყო რეზო გაბრიადის სცენარები, ბოლოს კი ოთარ ჭილაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის რომანები.

მას შემდეგ, რაც ადევნატური ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გარეშე გაართვა თავი მრავალი სირთულით გამორჩეული ქართული ენის შესწავლას, დონალდ რეიფილდი ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში შეეჭიდა ისეთ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს, როგორც „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ შექმნა იყო. საკუთრივ ლექსიკონზე მუშაობა 2000 წელს დაიწყო ქართველ კოლეგებთან ერთად და 140 000 სიტყვა-სტატიის შემცველი ორტომიანი ლექსიკონი 6 წელიწადში, 2006 წელს გამოიცა. მსოფლიო ლექსიკოგრაფიის ისტორია მხოლოდ ერთ შემთხვევას იცნობს, როდესაც 6 წელიწადში მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შეიქმნა. ეს ინგლისელი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სემიუელ ჯონსონის „ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ იყო (1755 წ.). მეორე მაგალითი კი არის დონალდ რეიფილდის მთავარი რედაქტორობით შექმნილი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, ჭეშმარიტად ჯონსონისეული ნაშრომი, რომლითაც არაერთი უცხოელი ქართველოლოგის ოცნება ახდა.

დონალდ რეიფილდი საოცარი დიაპაზონის მეცნიერია. იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევით. მან შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშრომები სტალინის ეპოქაზე, საქართველოს ისტორიაზე. მისი წიგნი, „საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი“, ეფუძნება აღიარებულ ისტორიულ წყაროებს, ისტორიკოსთა ნაშრომებს, საარქივო მასალებს და ქვეყნის სამიათასწლოვან ისტორიას მოგვითხრობს. წიგნი პირველად 2012 წელს გამოიცა ინგლისში, მეორედ კი – 2019 წელს.

ქართული ლიტერატურა, ქართული ენა, საქართველოს ისტორია...

თანამედროვეებმა სემიუელ ჯონსონს „კუნძულის აკადემია“ შეარქვეს, ვინაიდან ერთმა ადამიანმა იმ მოცულობის სამუშაოს გაართვა თავი, რომელზეც სხვა ქვეყნებში სპეციალურად შექმნილი მთელი აკადემიები მუშაობდნენ. ქართველოლოგიის დარგში შეტანილი წვლილით, მისი განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის

გაწეული შრომით, პროფესორ დონალდ რეიფილდს, ამ ჭეშმარიტად ჯონსონისეული მასშტაბის პიროვნებას, „საქართველოს აკადემიაც“ კი შეიძლება ვუწოდოთ!

დონალდ რეიფილდი არა მხოლოდ დიდი ბრიტანელი ქართველოლოგია, იგი ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და ქომაგიცაა და ყოველთვის „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს სხვადასხვა ისტორიული თუ კულტურული მოვლენის შეფასებისას.

ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, სამეცნიერო საზოგადოებრიობის მიერ მისი უზარმაზარი ღვაწლის სათანადოდ დაფასებას და აგრეთვე მეტ საინტერესო პროექტებთან შეჭიდებას მომავალში!

პროფ. თინათინ მარგალიტაძე
ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი
ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი ABSTRACT

Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* congratulate distinguished scholar Donald Rayfield, Professor Emeritus at Queen Mary University of London, an outstanding researcher and translator of Georgian literature and a member of the Editorial Board of *Kadmos*, on his 80th birthday. The journal hereby publishes a jubilee letter from Professor Tinatin Margalitzadze, Director of the ISU Centre for Lexicography and Language Technologies.